ტექნიკური დავალება

სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის მომსახურების გაწევაზე.

1. სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს ტექნიკური მახასიათებლები:

სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“ სავაჭრო და გასართობ ობიექტს მიეკუთვნება. სავაჭრო ცენტრის საერთო ფართი, მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით შეადგენს 250 000 მ^2.

რვა სართულიანი კაპიტალური შენობა, რომლის ოთხი სართული მიწისქვეშა ავტოსადგომია, 2000 ავტომობილზე. შენობის სახურავზე ტექნიკური კორპუსი არის განთავსებული. სავაჭრო ცენტრის პერიმეტრი არ არის შემოღობილი. სავაჭრო ცენტრის შენობა აღჭურვილია დაცვის, ვიდეომეთვალყურეობის და სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლის ტექნიკური საშუალებებით, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები.

შენობა მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 213.

გენერალური გეგმა და სავაჭრო ცენტრ “თბილისი მოლი“-ს სართულების სქემები თან ერთვის ტექნიკურ დავალებას (იხილეთ დანართები).

2. მომსახურების გაწევის სახეობა: სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს ტერიტორიაზე და შენობაში წესრიგის დაცვა. სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს კუთვნილი ქონების დაცვა და გამშვები და შიდა ობიექტის (ხანძარსაწინააღმდეგო) რეჟიმების უზრუნველყოფა. სახანძრო უსაფრთხოების და საგზაო მოძრაობის წესების დაცვის კონტროლი სავაჭრო ცენტრის და მიმდებარე ტერიტორიაზე.

3. მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წელი.

4. სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის მომსახურების გაწევის ტექნიკური მოთხოვნები:

4.1. დაცვითი მომსახურების გაწევა ხდება საქართველოს კანონმდებლობის მკაცრ შესაბამისობაში.

4.2. დაცვითი მომსახურება ითვალისწინებს შემდეგი მოვალეობების შესრულებას:

- სავაჭრო ცენტრ "თბილისი მოლი"-ს სადღეღამისო დაცვა (დასაცავი ობიექტი);

- ქონების დაცვა, სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი"-ს (დასაცავი ობიექტი) ტერიტორიაზე და შენობაში, მატერიალური ფასეულობების შენარჩუნება, ვანდალური ქმედებების ფაქტების თავიდან აცილება (დაზიანება და განადგურება), მიმართული შიდა და გარე მოწყობილობების და ინვენტარის წინააღმდეგ;

- ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად) ქურდობის, ქონების დაზიანების და განადგურების აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებული პირების დაკავება, და სამართალდამცავ ორგანოებზე აუცილებელი გადაცემით(მათ შორის ალკოჰოლური სასმელების დალევის და მოწევის ფაქტები), სავაჭრო ცენტრის თანამშრომლებისთვის დახმარების გაწევა, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას;

- სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო დაცვისა და სხვა საგანგებო რეაგირების სამსახურების გამოძახება (საჭიროების შემთხვევაში);

- საგანგებო სიტუაციებზე ადეკვატური რეაგირება, სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი"-ს მომხმარებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. პირველ რიგში, ხალხის ევაკუაციის პროცესის ხელმძღვანელობა ხანძრის, მიწისძვრის, ან ტერორისტული აქტის საფრთხის შემთხვევაში და საწყის ეტაპზე ხანძრის ლიკვიდაციის (ლოკალიზაციის) მართვა;

- სავაჭრო ცენტრის ტექნიკური სამსახურის მხრიდან განგაშის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე დროული რეაგირება;

- ქალაქ თბილისის შესაბამისი სამსახურების და სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელების (დამკვეთის) ოპერატიული ინფორმირება დასაცავ ობიექტზე ყველა შემთხვევების/სამართალდარღვევების (მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა, გამშვები და შიდა ობიექტის რეჟიმების და ა.შ.) და მომხდარი ბუნებრივი, ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შესახებ;

- სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელების ინფორმირება მორიგეობის პროცესში მომხდარი მოვლენების შესახებ, რომლებიც ეხება დამკვეთის ინტერესს, და გარკვეულწილად გავლენას ახდენს მისი საქმიანობის უსაფრთხოებაზე;

- არსებული გამშვები პუნქტების გვერდის ავლით მოქალაქეების, ავტოტრანსპორტის არასანქცირებული შემოსვლის თავიდან აცილება;

- დასაცავ ობიექტზე ოპერატიული ვითარების მდგომარეობის კონტროლის ორგანიზება, მესამე პირებისგან უკანონო ქმედებების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შეიცავს ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის დარღვევის ნიშნებს, და აგრეთვე იწვევს დამკვეთის ქონების დაზიანებას ან ობიექტზე დაწესებული წესების (პროცედურების) დარღვევას;

- გამშვები და ობიექტის შიდა (ხანძარსაწინააღმდეგო) რეჟიმის უზრუნველყოფა, ობიექტზე, რომლის ქონება არის დაცული, დამკვეთის მიერ დადგენილი და დაცვის კომპანიის ხელმძღვანელთან (შემსრულებელთან) შეთანხმებული წესების შესაბამისად;

- საგანგებო სიტუაციის აღმოჩენის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების ჯგუფის გაგზავნა დაცვის თანამშრომლების (საგუშაგოების) დასახმარებლად;

- დამკვეთის კონსულტირება და მისთვის რეკომენდაციების შემუშავება, მისი უფლებებისა და ლეგიტიმური (კანონიერი) ინტერესების არაკანონიერი ქმედებებისგან დაცვის შესახებ;

- დაცვის თანამშრომლების ქმედებების კოორდინაცია, საგანგებო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად და დასაცავ ობიექტზე დამკვეთის ქონებისა და მატერიალური ფასეულობების დაცულობის უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობისა და დამკვეთის მიერ დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად;

- დამკვეთის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან, შემსრულებლის სამორიგეო ნაწილთან, სამართალდამცავი ორგანოების ტერიტორიულ ქვედანაყოფებთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან და ავარიულ-ტექნიკურ სამსახურებთან სადღეღამისო ურთიერთმოქმედება;

4.3. სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას დაცვის თანამშრომლები აღჭურვილები უნდა იყვნენ:

- საზაფხულო და ზამთრის ფორმით (განმასხვავებელი ნიშნებით, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება დადგენა, რომ ის არის დაცვის კომპანიის თანამშრომელი), საფირმო ბეიჯით, გუშაგის სახელის მითითებით;

- ინდივიდუალური დაცვის სპეციალური საშუალებებით (რეზინის ხელკეტები, ბორკილები (ხამუთები), გაზის ბალონები, ელექტრო შოკით და ა.შ.)

- ელექტრო ფარნებით, ლითონის დეტექტორებით, რაციებით ან/და მობილური კავშირით, ვიდეორეგისტრატორებით, გაზსაწინააღმდეგო საშუალებებით.

4.4. სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას დაცვის თანამშრომლებმა უნდა:

- ფლობდნენ პროფესიონალურ ჩვევებს, იყვნენ თავაზიანები, თავშეკავებულები, მოწესრიგებული გარეგნობით;

- იცოდნენ დაცვის სპეციალური და ტექნიკური საშუალებების დანიშნულება და გამოყენება, მათ შორის, ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში - ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების;

- იყვნენ მომზადებულები იმოქმედონ საგანგებო სიტუაციის აღმოჩენის დროს (ხანძარი, უცხო ნივთების აღმოჩენა, მძევლად აყვანა, წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ.); **დაცვის კომპანიის ადმინისტრაცია იღებს სრულ პასუხისმგებლობას სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე განთავსებული ქონების მთლიანობასა და უსაფრთხოებაზე, დასაცავ ობიექტზე მისი თანამშრომლების მომზადებაზე, მათ ქმედებებზე საგანგებო სიტუაციის აღმოჩენისას, მოცემული ობიექტის მოთხოვნებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;**

- იცოდნენ კავშირის საშუალებების გამოყენება, რომლებიც გამოიყენება უწყვეტი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სავაჭრო ცენტრის ტერიტორიასა და შენობაში მორიგე ცვლის გუშაგებსა და კომპანიის ოპერატიული ცვლის თანამშრომლებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დასაცავი ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

<u>4.5. მომსახურების გაწევის მოთხოვნები:</u>

- დაცვითი მომსახურების გაწევის რეჟიმი - 12 საათიანი და სადღეღამისო, ყოველდღიური, დასვენების დღეებისა და დღესასწაულების ჩათვლით;

ობიექტის დაცვის მოვალეობების შესასრულებლად არ დაიშვებიან სტაჟიორი გუშაგები, ავადმყოფი (ქმედუუნარო) დასაქმებულები. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო პერიოდში ცვლაში მომუშავე თანამშრომელი ავადდება, ან რაიმე მიზეზით ვერ ასრულებს საკუთარ მოვალეობას, ობიექტის დაცვის უფროსი ამის შესახებ აკეთებს ჩანაწერს შესაბამისი დაწესებულების ჟურნალში და 1 საათის ვადაში მის ადგილზე ნიშნავს სხვა დასაქმებულს. მორიგე ცვლის გრაფიკსა და შემადგენლობაში (დაკომპლექტებაში) ნებისმიერი ცვლილების შესახებ ანგარიში დაუყოვნებლივ წარედგინება დამკვეთს. სავაჭრო ცენტრის დაცვის მომსახურების გაწევის საფასურის გადახდა ხდება მხოლოდ საანგარიშო თვის განმავლობაში, უსაფრთხოების ოფიცრების ტარიფების

შესაბამისად, მათი რეალურად ნამუშევარი საათების მიხედვით, კონტრაქტის მოთხოვნების შესრულების პირობის შემთხვევაში;

- ობიექტის ტერიტორიაზე გამშვები და ობიექტის შიდა რეჟიმების ორგანიზაციას უზრუნველყოფენ დაცვის კომპანიის თანამშრომლები, დამკვეთის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

4.5.1. გამშვები რეჟიმი - ღონისძიებების და წესების ერთობლიობით უზრუნველყოფილი თანმიმდევრობა, რომელიც გამორიცხავს უცხო პირების შესვლას (გამოსვლას), ავტოტრანსპორტის უკონტროლო შემოსვლას (გასვლას), და ქონების შემოტანას დასაცავ ობიექტზე ან ობიექტიდან გატანას.

4.5.2. ობიექტის შიდა რეჟიმი - ღონისძიებების და წესების ერთობლიობით უზრუნველყოფილი თანმიმდევრობა, რომელიც ხორციელდება დასაცავი ობიექტის ტერიტორიაზე მყოფი პირების მიერ, შრომის შინაგანაწესის და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

4.5.3. შემსრულებლის თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ დებულებები და ინსტრუქციები გამშვები და ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმების შესახებ, სავაჭრო ცენტრის შინაგანაწესი, ობიექტების დაცვის წესები და ინსტრუქციები, დასაცავი ობიექტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, და საგანგებო რეაგირების საქალაქო სამსახურების ტელეფონის ნომრები.

4.5.4. დაცვის საგუშაგოები უნდა დაკომპლექტდეს ხელშეკრულების შესაბამისად, დაცული ობიექტისთვის დამტკიცებული საშტატო სტრუქტურის, გრაფიკისა და მარშრუტების შესაბამისად, დამკვეთის მიერ შემუშავებული და დადგენილი წესით, შეთანხმებული სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობასთან. დამკვეთი იტოვებს უფლებას პერიოდულად შეამოწმოს დაცვის თანამშრომლების განლაგება და დასწრება ობიექტზე (ცვლაში) შეთანხმებაში (კონტრაქტში) მოცემული საშტატო სტრუქტურის შესაბამისად. გამოვლენილი დარღვევები, მათ შორის, ცვლაში დაცვის თანამშრომლების სრული რაოდენობის არ ყოფნა, შეფასდება როგორც არასათანადო მომსახურება და გამოიწვევს შემსრულებლის პასუხისმგებლობას (ჯარიმას დაუსწრებელი თანამშრომლის თვიური ანაზღაურების ოდენობით, კონტრაქტის გაწყვეტა).

4.5.5. დასაცავი ობიექტის კონტროლის სისტემას, საგუშაგოების დისლოკაციას, მარშრუტებს და დაცვის თანამშრომლების რაოდენობას, განსაზღვრავს დაცვის კომპანიის მენეჯმენტი (შემსრულებელი), დასახული მიზნების ოპტიმალურად შესრულების მიზნით და სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს ადმინისტრაციასთან (დამკვეთი) შეთანხმებით.

4.6. საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში, შემსრულებელი უზრუნველყოფს:

- შესაბამისი საქალაქო სამსახურების და სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს ადმინისტრაციის შეტყობინებას;

- სავაჭრო ცენტრიდან ხალხის ევაკუაციას;

- საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციას ან ლოკალიზაციას განვითარების საწყის სტადიაზე;

- ევაკუირებული ქონების დაცვას;

- სწრაფი რეაგირების ჯგუფის გამოცხადებას, არანაკლებ 2 დაცვის თანამშრომლის შემადგენლობით და არაუგვიანეს 20 წუთისა საგანგაშო სიგნალის მიღების შემდეგ;

- დაცვის გაძლიერება საკუთარი ძალების და საშუალებების გამოყენებით, მინიმუმ ორი სადღეღამისო დაცვის საგუშაგოს დამატებით, საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციის პერიოდით. ამასთანავე, საგანგებო სიტუაციის აღმოჩენის შემთხვევაში დამატებითი საგუშაგოების დადგმის დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, საგანგაშო სიგნალის მიღების მომენტიდან.

4.7 შემსრულებელი ვალდებულია:

- არ გადასცეს მესამე პირებს დამკვეთისგან მიღებული საბუთების ორიგინალები ან ასლები, დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე. პირადად შეასრულოს მოვალეობები (თავისი ძალებით და ქვედანაყოფებით), მესამე პირზე მოვალეობების დაკისრების გარეშე;

- გაანთავისუფლოს თავისი თანამშრომელი სამსახურიდან დამკვეთის ობიექტებზე, მისი მოთხოვნით, მოვალეობების არ შესრულების ან არასათანადოდ შესრულების, უფლებამოსილების გადაჭარბების და უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში;

- დასაცავი ობიექტის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა;

- **მომსახურების დაწყების მომენტიდან შეთანხმდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებთან თანამშრომლობაზე (პოლიცია, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო) დამკვეთის ტერიტორიაზე.**

4.7.1. შემსრულებელი ასევე ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზარალი შემდეგ შემთხვევებში:

- დამკვეთის ქონების განადგურება ან დაზიანება;

- სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს თანამშრომლებს ან მომხმარებლებს სიცოცხლის და ჯანმრთელობის ზიანის მიყენება, ობიექტის დაცვის ნაკისრი მოვალეობების არ შესრულების, ან არასათანადოდ შესრულების შედეგად, მათ შორის ფაქტიური დამნაშავის არ ყოფნის შემთხვევაში, რომლის დაკავება ვერ მოხერხდა;

- ხანძრის ან სხვა მიზეზების გამო, თანამშრომლების ბრალით გამოწვეული დაცვის მოვალეობის შესრულების დროს, და ასევე ობიექტის დაცვის ნაკისრი მოვალეობების არ შესრულების, ან არასათანადოდ შესრულების შედეგად;

- დაცვის თანამშრომლების (შემსრულებელი) უკანონო ქცევის შედეგად (ქმედება ან უმოქმედობა).

4.8. სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის მომსახურების გაწევის პირობები, ანაზღაურება და საგარანტიო ვალდებულებები.

4.8.1. დაცვის კომპანია უზრუნველყოფს სავაჭრო ცენტრ “თბილისი მოლი“-ს ხარისხიან მომსახურებას

4.8.2. დაცვის კომპანიის მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება საბანკო გადარიცხვით შემდეგი თანმიმდევრობით:

- პირველ რიგში ხორციელდება სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის მომსახურების გაწევა, შემდეგ ხდება ხელის მოწერა ყოველთვიურ აქტზე, გაწეული მომსახურების შესახებ და ხდება ანგარიშის წარდგენა.

4.8.3. გადახდა განხორციელდება **5 დღის ვადაში**, გაწეული მომსახურების შესახებ აქტის ხელმოწერის და დაცვის კომპანიისგან ანგარიშის მიღების შემდეგ.

4.8.4. გადახდა ხდება მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურებისთვის, შემსრულებლის მიერ დამადასტურებელი საბუთების მოწოდების საფუძველზე, შეთანხმებული ფორმების მიხედვით (ნუსხა, უწყისი). გადახდის საანგარიშო პერიოდი არის ერთი თვე.

5. მოთხოვნები ხელშეკრულებისთვის:

10 სამუშაო დღის ვადაში, ტექნიკური დავალების მიღების შემდეგ, წარმოგვიდგინეთ სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს დაცვის მომსახურების გაწევის ხელშეკრულების პროექტი. კომპანიის მიერ წარმოდგენილ ტიპიურ ხელშეკრულების ფორმას უნდა ჰქონდეს ცვლილებების შეტანის საშუალება, და ასევე დამატებითი შეთანხმებების შეტანის საშუალება, შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტ“-ის პირობებით.

უცილებელია ხელშეკრულებაში აისახოს:

- დამატებითი სერვისის გაწევა, ძირითად ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მომსახურების გარდა, დაცვის კომპანიის მიერ უნდა იყოს გაწეული, დამკვეთისგან წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, საგნის და მომსახურების პერიოდის დეტალური აღწერით.

მომსახურების გაწევის აუცილებლობის შეტყობინება იგზავნება დამკვეთის მიერ არანაკლებ 3 (სამი) დღისა, მომსახურების მოწოდების თარიღამდე;

- პასუხისმგებლობა სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს ქონების დაცულობაზე მისი დაკარგვის, დანაკლისის, ან დაზიანების (გაფუჭების) შემთხვევაში;

- პასუხისმგებლობა (ჯარიმა) მომსახურების გაწევის პროცესში სახანძრო უსაფრთხოების წესების და შრომის დაცვის მოთხოვნების დარღვევისათვის (თითოეული დარღვევა).

<u>**6. დავალება:**</u> მოცემული ტექნიკური დავალებისა და მასში ჩამოთვლილი მოთხოვნების საფუძველზე, და ასევე თქვენი სპეციალისტების მიერ დასაცავი ობიექტის ადგილზე ფაქტიური შესწავლის შემდეგ, სართულების გეგმებისა და სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლი“-ს განლაგების გეგმის შესაბამისად, თქვენ აუცილებლად უნდა მოამზადოთ და წარმოგვიდგინოთ, მოცემული დავალების მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში, ამოცანებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ თქვენი ხედვა, როგორც ფიზიკური ძალებით, ასევე ტექნიკური საშუალებებით, სადაც მითითებული იქნება საჭირო სტრუქტურა, ტარიფები და თანამშრომლების რაოდენობა, სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლში“ უსაფრთხოების ხარისხიანი სერვისის უზრუნველსაყოფად.

შპს „რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი“-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი:

_____

ალექსეი მეშჩერიაკოვი

Executed by: N. Komelev

E-mail: {n.komelev@tbilisimall.com}

Tel: 599 544 112

«____»_____2023